ნაციონალისტი

ოთხშაბათი ოქტომბრის 27 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 23 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—20 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—400 მან.

ქართული კლუბი

ოთხშაბათს დეკემბრისთვის 27

კარმენი ოპ. ბიზე.

1 მეორე მოქმედება სურათი 4, 2 მეოთხე მოქმედება სურათი 3.

მონაწილეობენ: არტისტი „გრანდ ოპერა მაშულ დ'არიად"—ნანობაშვილი და არტისტი ქალი რუსულ და იტალიის ოპერის ლ. ვ. სობესსკაია.

როიალთან: ქ. **ლელმარ.**

დასაწყისი 8½ საათზე.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, **14** ნოემბერს დილის 11 საათზე.

პალატის ბინაზე (ეროვნულ საბჭოს ქუჩა № 11).

განსახილველი საგნები:

1. თბილისის კომერციულ სასწავლებლის საზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა კავშირის ხოვნა,
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა სამაგივრო დანიშნულია მეორე დღეს, ხალამის 6 ნახევ. საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.

სოც. დემოკრატიული ეკონომიკა

გამოქვეყნდა სოც. დემ. ეკონომიური თათბირის დადგენილებანი.

ამ დადგენილებზე და ზომებზე ერთი რამეს თქმა შეიძლება; რაც რამ კარგი ზომაა იმას სოც. დემ. მთავრობა ვერ შეასრულებს, როგორც ეყო დღემდის, ხოლო რასაც მთავრობა ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს, ის ცუდია.

ავიღოთ კარგი ზომები: ხარჯების ეკონომია—ეს ხომ არ შეეხება იტალიური მარმარილოს გამოწერას ნ. ჟორდანიას ბიუტისათვის ან ლ. მომლერალ ქალების იტალიიდან და სობინოვის ყირიმიდან დაბარებას ა. წუწუნავას „ოპერებისათვის".

ავიღოთ მიზანშეუწონელი, ცუდი ზომები—მაგალითად იძულებითი, შინაური სესხის გაცერა მცხოვრებლებზე—ეს ხომ აქამდისაც იყო „სანიტარული" გადასახადის სახით, რამაც ცხოვრება ერთი ორად გააძვირა, ეხლაც სანიტარულის მაგიერ—„სამხედრო" გადასახადს დაარქმევენ, მაგრამ შედეგი ისეთივე იქნება ცხოვრება კიდევ ერთი ორად გაძვირდება.

მაგრამ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქნება თუ სოც. დემ. თათბირის დადგენილება შესახებ „ფულის ნიშნების წინასწარი აღრიცხვისა" ნიშნავს დღევანდელ ფულის, ბონების ფაქტიურ დევალვაციას, ესე იგი ხაზინის გაკოტრებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოც. დემოკრატების ეკონომიურ გაკოტრებას საქართველო, და განსაკუთრებით გლეხური სოფელი უპასუხებს სოც. დემოკრატების სრული პოლიტიკური გაკოტრებით.

პრესსა.

ჩვენი პარტიული კონფერენციის შესახებ.

გაზ. „გრუზია" სწერს:

„თბილისში უკვე სამი დღეა რაც ქართველ ნაციონალისტთა პარტიის პირველი კონფერენცია სწარმოებს.

ჩვენ, უპარტიო ბეჭდვითი ორგანოს წარმომადგენელებს, რომელთაც ყოველთვის მაღლა გვიჭირავს საქართველოს ეროვნული დროშა, ესრედ უმძიმეს ეკონომიურსა და პოლიტიკურ პირობებში, არ შეგვიძლიან გულის სიღრმისგან არ მივესალმოთ თითეულ ნაციონალისტურ ჯგუფის მოღვაწეობას, რომელიც ერი მიმართული ჩვენი საშობლო ხალხის აღორძინებისაკენ, ძით უფეტეს ქართველ ნაციონალისტების პარტიას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი მშრომელ სოფლის გლეხობის სამსახურს და ბრძოლას საქართველოს ნაციონალ ინტერესებისთვის.

ვუსურვებთ გამარჯვებას ქართველ ნაციონალისტების პირველ კონფერენციას, ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი საშობლოს ასაყვავებლად, ქართველი ერის ეროვნულად აღორძინებისათვის და დაცვას საშობლოს საუკეთესო შვილთა იმ საღვთო აღთქმების ტრადიციებისას რომელნიც ვერ ჩაჭკლა ძირში განცდილ სამძიმო ეპოქის ვერავითარ ეკსცესებმა".

დეპეშები

კამენევი ლლოიდ-ჯორჯის შესახებ

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" აქვეყნებს ინტერვიუს კამენევთან, რომელიც აცხადებს: ლოიდ-ჯორჯი იმდენათ გამოქნილია, რომ მასთანავსუფლად შეუძლია არ დაეჯახოს პოლიტიკურ ზღვის ქვეშ არსებულ ქვებს. ლოიდ-ჯორჯის უმთავრესი მიზანია, რომ შეაჩეროს მუშათა მოძრაობა; ამისათვის იგი ხელოვნურათ სცდილობს ხალხს ეკვი შეატანოს ბალშევიკებისა და ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერების პატიოსნებაში. როდესაც კორესპოდენტი შეეკითხა მას რუსეთის ბრილიანტების შესახებ მან განაცხადა, რომ რუსეთის ბრილიანტები ამ უკანასკნელ თვეებში მართლაც გაჰქონდათ სხვა და სხვა ქვეყნებშიო.

აჯანყება უკრაინაში

ჰელსინგფორსი. მიღებულია ცნობები, რომ უკრაინის აჯანყებულნი წინ მიწევენ და აიღეს ეკატერინოსლავი და ნიკოლაევი. ოდესაში მიმავალი გზები ყოველ მხრივ მოჭრილია.

— „რუსაგენის" ცნობით უკრაინაში ამ ჟამად ოთხი მთავრობაა: 1. უკრაინის მთავრობა პეტრუშევსკის მეთაურობით, 2. პეტლიურის მთავრობა სტანისლავოვში, 3. გალიციის საბჭოთა მთავრობა ზატონსკის მეთაურობით და 4. ხარკოვის საბჭოთა მთავრობა რაკოვსკის მეთაურობით.

„რუს აგენის" ცნობილ ხარკოვის იზვესტიაში დაბეჭდილია მანუილსკის წერილი, საიდანაც სჩანს, რომ საბჭოთა უკრაინის ეკონომიური მდგომარეობა უფსკრულის პირზეა მისული. მანუილსკი თავის წერილს ასე ათავებს: არსებობა თუ გვინდა უნდა ვიმუშაოდ. ეს კი რთული საქმეა, ვინაიდან აქ ჩვენი მცხოვრებლების პასიურ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე."

რუსთა პოლიტიკური კომიტეტი ვარშავაში.

ვარშავა. შესდგა რუსთა პოლიტიკური კომიტეტი სავენკოსის მეთაურობით. კომიტეტის პროგრამაა: დემოკრატიულ რესპუბლიკაური წყობილება, ფართო რეფორმები, გლეხებისათვის მიწის მიცემა, და სხ.

სამართალში მიცემა.

მოსკოვი. პრესის ცნობით საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა ჩეკარვო ვარშავის რაიონში მებრძოლ ჯარების უფროსი გენერალი კლემბოვსკი და მისი შტაბის ყველა წევრი სამართალში მისცეს. მათ ბრალად სდებენ დაუდევრობას, რასაც შედეგად მოყვა წითელ არმიელთა დამარცხება დასავლეთის ფრონტზე.

იტალიელების დარბევა ამერიკაში

ჰელსინგფორსი. მიღებულია ცნობა იტალიელთა დარბევის შესახებ უესტფრანქფურტში (ილლინოისის შტატშია) ამერიკელთა ბრბო, მან შემდეგ, როცა შემთხვევით ჩხუბის დროს მოკლულ იქნა ორი ამერიკელი, დაერია იტალიელთ დაარბიეს იტალიელთა მაღაზიები და ბინები. იტალიელნი ძალით გამოყავდათ ბინებიდან და ქუჩაში უსწორდებოდენ. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ჯერ ჯერობით დათვლილია მხოლოდ 150 დაჭრილი და 10 მკვდარი წესრიგის აღსადგენათ გაგზავნეს მილიციის გაძლიერებული რაზმი.

ბოლშევიკთა დეზერტირობა ყუბანში.

სტამბოლი. „რუსაგინი" იუწყება: ბოლშევიკების მეათე არმიის უფროსი ოფიციალურად აუწყებს მოსკოვს, რომ ყუბანში წითელ არმიელთა შორის დე-

უკანასკნელი ცნობები

ბელგიის მინისტრთა თავმჯდომარე დელაკრუა იუწყება გადადგომის შესახებ.

სომხეთის სარდალი იუწყება: ოქტომბრის 24 ოსმალები მთელი დღის განმავლობაში დიდის ძალებით შემოტევას აწარმოებდენ იგდირის ფრონტზე.

ბათუმის ნავთსადგურში ინგლისურ სარდლობამ დააკავა იტალიის გემი „ანკონა", რომელსაც იტალიიდან ნოვოროსიისკში საქონელი მიჰქონდა.

ირლანდიის ქალაქ კორკის ქალაქის თავი 40 დღის შიმშილის შემდეგ გარდაიცვალა ციხეში.

ზერტირობამ საშიში ხასიათი მიიღო. ზოგიერთ ბატალიონში დარჩა მხოლოდ 15 კაცი. კავალერია იძულებულია მთელი დრო მხოლოდ დეზერტირობის დევნას მოანდომოსო.

ნაციონალ ცაიტუნგი ბოლშევიკებზე

ჰელსინგფორსი. ჰელსინგფორსის პრესაში დაიბეჭდა შემდეგი ამონაწერი გაზეთ „ნაციონალ ცეიტუნგიდან": საკვირველია, რომ წითელი არმია იმარჯვებს, ეს ჯარი ერთიანთ არმოადგენს მათ ხელმძღვანელთა ბრბოს, საშინელ მდგომარეობაშია მათი ჩაცმის და გამოკვების საქმე. აცვიათ ძონძები, იკვებებიან კი გლეხის ხარჯზე, რომლებზედაც იმარჯვებენ.

ქრონიკა.

მთავარ კომიტეტის წევრთა სია, რომელიც გუშინდელ ნომერში იყო გამოცხადებული დაიბეჭდა სამწუხაროდ კორექტურული შეცდომით: სიაში გამოტოვებულ არიან შემდეგი. წევრნი: მიხ. მაჩაბელი, სოდ. ჩოლოყაშვილი და სარ. კაკაბაძე.

შინაური სესხი.

ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას 6 პროც. შინაურ სესხისა და ერთდროულად სამხედრო გადასახადის დაწესების პროექტი.

მთავრობის თავმჯდომარესთან

ოქტომბრის 25 მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო: აზერბიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია, საგანგებო რევიზორი გ. ი. ხუნდაშვ, საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე დარჩია. კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარემ აღძრა საკითხი მარგანეცის გატანის შესახებ. მარგანეცი უნდა გადაცვალონ რესპუბლიკისთვის საჭირო საჭირო საქონელზედ საოფლო სამეურნეო და სხვა მანქანებზედ.

ამერიკის ნამოსანი ბათუმში

ბათუმის რეიდზე ვიდა ამერიკის ნამოსანი.

პოლკოვნიკ კორბელის მოგზაურობა საქართველოში

ამერიკაში მყოფი საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი კორბელი მასთან მივლენილ ოფიცერ ლეიტენ. ლექვინაძესთან ერთად ოქტ. 16 გაემგზავრა სოფ. სალხინოს (სამეგრელოშია) პრინც მიურატის მამულში. ოქტომ. 19 მას გაუკეთეს სადილი, რომელზედაც მოიწვიეს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელები. სადილზე წარმოითქვა საქართველოს დამოუკიდებლობის, საფრანგეთის რესპუბლიკისა და საფრანგეთის ჯარისა. სადღეგრძელო. კორბეილმა დაათვალიერა მამულები და შკოლები. უკან დაბრუნებისას. კორბეილმა დაათვალიერა მარტვილი და წყალტუბო. ხონში კორბეილი გაჩერდა ქუთათელაძისას, სადაც გენ. ჯაფარიძეს შეხვდა. მას აქაც დიდებული სადილი გაუმართეს. აქედან იგი პირდაპირ თბილისს გამოემგზავრა.

ბრიტანეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაცია

ამიერ კავკასიაში მყოფი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სახლის თბილისში მცხოვრებ ბრიტანეთის ყველა ქვეშევრდომს დაუყონებლივ გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ თბილისში არსებულ ბრიტანეთის საკონსულოში (სერგიევის ქ. № 13). მიღება სწარმოებს 9-1 საათამდე.

სოციალ-დემოკ. ეკონომიური თათბირის დადგენილებანი

სოც. დემ. პარტიული თათბირის მიერ რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება რესპუბლიკის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, პარტიული თათბირი აღიარებს, რომ მსოფლიო ომმა ჩანთქა აუარებელი საწარმოო საშვალებანი გაანადგურა წინანდელ თაობათა მიერ დაგროვილი სიმდიდრე და ძირბუდიანად შეარყია ევროპის სახელმწიფოთა ფინანსიური კეთილდღეობა.

რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოს მტაცებულური თვალით უცქერდა, მას, როგორიც კოლონიას სძარცვავდა და ხელს უშლიდა ჩვენში საწარმოო ძალთა განვითარებას და აქ დამოუკიდებელი ეკონომიურ ორგანიზმის განმტკიცებას. სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ ჩაიბარა ეკონომიურად დაშლილი ქვეყანა პრიმიტიული სასოფლო მეურნეობით, და სუსტი ინდუსტრიით. მთელი ორ ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატია ომის ველზე იცავდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართ, ხოლო მუდმივი ომი კიდევ უფრო აუარესებდა, ისედაც დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრებას. თათბირი ითვალისწინებს რა ქვეყნის მძიმე ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას, სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ მიელი შეგნებული დემოკრატია გაორკეცებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ დაბრკოლებათა და ძლევას, რაიცა წინ ეღობებს რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარებას და ფინანსიურ მოღონიერებას. თათბირი ადგენს: მიზან შეწონილ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკას საფუძველად უნდა დაედვას: ა) ბიუჯეტის წინასწრობის დამყარება, ბ) მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინება, გ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება და დ) ექსპორტის გაძლიერება და იმპორტის შეწირება. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ზომების გატარება:

1) **ბიუჯეტის მოსაწესრიგებლად:** ა) ხარჯების ეკონომია.

— მოსამსახურეთა შტატების შემცირება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საქმის წარმოების გამარტივება, ზოგიერთ დაწესებულებათა სრული ლიკვიდაცია და სხვა. ბ) იძულებითი საშინაო სესხის აღება ფულის ნიშნების წინასწარი აღრიცხვით. გ) გადასახადთა სისტემის გადასინჯვა და მათი აკრეფისგაძლიერება. ვ) მთავრობის კონტროლი ადგილობრივ თვითმართველობათა და საბიუჯეტო უფლების გამიჯვნა.

2. **ფინანსების გასაუმჯობესებლად.** ა. ქალაქების ფულის რაოდენობის განსაზღვრა, ბ. საკუთარი ფულის სისტემის შექმნა და მისი რეალური უზრუნველყოფა. ბ. რუსეთის ძველ საკრედიტო დაწესებულებათა ლიკვიდაცია. დ. ბანკების კონტროლი. ე. სავალიუტო ოპერაციების მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებანი უნდა აწარმოებდენ. ვ. ამ ოპერაციების საწარმოებლად სახელმწიფო ბანკს სავალიუტო ფონდის ეძლევა. ზ. ანგარიშის გასწორება და საქონლის ყიდვა გაყიდვა რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს და ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით ხდება.

წარმოების სფეროში

ა. ახალი საწარმოო დარგების შექმნა; კერძო ინიციატივის ხელის შეწყობა, რამდენადაც ის წარმოების განვითარებას ემსახურება. ბ. უცხო სამრეწველო კაპიტალის შემოსავლელათ ზომების მიღება. ე. სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო სესხის შემოღება. დ. სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის უზრუნველყოფა მანქანებით და ნედლი მასალით. ე. პრაქტიკული სასწავლებელისა და კურსების დაარსება სპეციალისტების მოსამზადებლათ; უცხოელის სპეციალასტების მოწვევა. ვ. ეკონომიური საბჭოს დაარსება მთლიანი ეკონომიური სისტემის შესაქმნელათ; რესპუბლიკის საწარმოო საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენება. ზ. სამრეწველო აღწერის მოწყობა.

4 **საგარეო ვაჭრობის სფეროში:**

ა. ფუფუნების საგნების შეტანის სავსებით აკრძალვა და საიმპორტო საგანთა შორის უპირატესობის საწარმოო საშვალებათათვის მინიჭება. ბ. სახელმწიფო დაწესებულებანი, კოოპერატივები და ადგილობრივი თვითმართველობანი უცხოეთთან აღებ-მიცემობის მთავრობის კონტროლით უნდა აწარმოებდენ. ბ. მიღებულ იქნეს ზომები საკუთარი ტონაჟის შესაძენათ.

5. **სასურსათო სფეროში**

ა. სახელმწიფო უნდა შეეცადოს თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი სურსათით დაიკმაყოფილოს; პურის გასაიაფებლად მიღებულ იქნეს ზომები ხორბლეულობის უცხოეთიდან შემოსატანათ. ბ. უნდა გაფართოვდეს სამელიორაციო მუშაობა; მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ჭაობების ამოშრობას, წყლების გამაგრებას და გზების გაყვანას, მოეწყოს აგრონომიული დახმარება და ინტენსიური მიწების ინტენსიური დამუშავება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უცხოეთიდან სასოფლო სამეურნეო იარაღების შემოტანას; გაფართოვდეს თავისუფალ მიწებზე გადასახლების საქმე. ბ. სურსათის გატანა-შემოტანის აკრძალვის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის. დ. მიღებულ იწნეს განსაკუთრებული ზომები სურსათის რესპუბლიკის საზღვრებიდან უცხოეთში გატანის წინააღმდეგ.

ნპ საერთო ზომები:

ა. ქალაქის გაწმენდა პარაზიტულ ელემენტებისაგან. ბ. სავალდებულო შრომის შემოღება არა მშრომელთათვის. გ. დახურვა გასართობ კლუბების კაფეშანტანებისა და ისეთი რესტორანების, რომელთაც კაფეშანტანების ხასიათი აქვს; მათ მაგიერ იაფ ფასიანი სასადილოების მოწყობა; ხელის შეწყობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის პურით საჭიროების გაღების საქმეში; ტკბილეულობის გამოცხობის აკრძალვა; რესტორანები, სასადილოები და სამიკიტნოები უნდა იხურებოდეს ღამის 10 საათზე. დ. ბინის საკითხის მუშათა ინტერესების და მიხედვით მოწესრიგება პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით. ე. უსასტიკესი სასჯელი სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც მითვისებენ, გაფლანგავენ და მოიპარავენ საზოგადო ქონებას, ან ქრთამს აიღებენ. თათბირი აღიარებს, რომ ყველა ეს ზომა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს სასურველ ნაყოფს, თუ საქართველოს საწარმოო ძალები და შრომის ნაყოფიერება გაძლიერდება, დამზადებულ საქონელთა რაოდენობა გამრავლდება და შეიქმნება შესაძლებლობა საქონლის ფასებს დაწევის და ბაზრის ნორმალურ პირობებთან დაახლოვების. შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად კრება საჭიროდ სთვლის მუშათა უზრუნველყოფას პირველ საჭიროებათა საგნებით, განსაკუთრებით სანოვაგით, და სადაც ეს ტეხნიკურად შესაძლებელია, შემოღებულ იქნეს ნაღდად მუშაობა და კრიმიული სისტემა (რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად, ერთმა თავი შეიკავა).

თათბირი ადგენს:

ა. პურის დამზადებას მომარაგების სამინისტრო საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით უნდა აწარმოებდეს. ბ, მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები პურის ლირსების გასაუმჯობესებლად. გ. საჩქაროთ პირველ შესაძლებლობისთანავე გადიდებულ იქნეს პურის ულუფა ნახევარ გირვანქით ყველა მუშა მოსამსახურეთათვის. დ. მიღებულ იქნეს ზომები მუშა მოსამსახურეთა ხორცით, ბოსტნეულობით და სხვა სანოვაგით უზრუნველყოფად. ე. შესდგეს განსაკუთრებული კომისია მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელმა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის ხელმისაწდომად.

გურიის საჭიროებანი

მოხსენება წაკითხული ნაციონალურ პარტიის კონფერენციაზე, ოზურგეთის მაზრის დელეგატის, სტ. ს. ა—ძის მიერ.

ერობის საქმე სამაზრო ერობა, როგორც ეტყობა, ჩაფლულია თავის კერძო საქმეებში, ხალხი და მისი საქმეები და საჭიროებანი თითქოს არ არსებობს. რა თქმა უნდა, ხალხი დრტვინავს და ძლიერ უკმაყოფილოა ამ გარემოებით და ბუნებრივი გულისწრომაც არსებობს, მაგრამ ხალხს ვერ გაუწყვია რა სოფლებში, გამეფებულ, ეგრე წოდებულს „სოც. დემ. კოლექტივების“ მუქარის გამო, რომელის უმთავრესი წევრები არიან გაკრეჭილი ანუ ტრაპეზზე ხელ აღებული ხუცები. ამ კოლექტივების და მათი წევრების ხელშია ყველაფერი: კოოპერატივები, კავშირები სასადილები და სხვა მრავალი სასურსათო საწყობები. მიუხედავად იმისა, რომ სასადილოები ითვლებიან საზოგადო დაწესებულებად და სასტიკად აკრძალულია იქ ქეიფობა, და დადგენილებას თვით მათი დამდგენელნი, კოლექტივების წევრები, არღვევენ. პირველ შემთხვევისა თანავე, როდესაც უფროსი ამხანაგი ჩამოსვლის და მისი მოხსენების შემდეგ გაუმართავენ ნადიმს და ქეიფობას შეექცევიან და კარგად შეზარხოშებულნი სროლას ასტეხენ და ხალხს შიშის ზარს სცემენ. ყველაფერი რაც კი მოდის ამ დაწესებულების სახელზე სურსათის სახით იქნება ეს თუ მანუფაქტურის მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთს შორის ინაწილებენ. არი შემთხვევა, რაც, თემში იმართება საერთო დღესასწაულის დღეს წარმოდგენა, ალეგრა-ლატარეია, ვასშაში და შემოსული ფული იმის მაგივრ რომ მოხმარდეს თემის მცხოვრებთა ულარიბეს ნაწილს, ან სამოსწავლო ნივთების მხრივ ლატაკ სკოლას, სოც. დემ. კოლექტივების საპროპაგანდო სალაროში ჩადის. ერობის გამგეობის წევრის ნახვა მოუხსენებლად რაიმე საქმისთვის აღკრძალულია მათთვის, ვისაც არ იცნობენ, ხოლო ვისაც იცნობენ რა თქმა უნდა მოუხსენებლად და რიგის გარეშეც კარები მათთვის ყოველთვის ღიაა. ასე რომ ხალხს უხდება რამდენიმეჯერ მოსვლა ერთ და იმავე საქმეზე და ამის გამო საუკეთესო სამუშაო დღეების ვაკდენა. ერობის მოხელეების შემადგენლობა სრულიად არა სდგას თავის სიმაღლეზე. გაუთლელნი როგორც თავის მოქცევაში აგრეთვე მოქმედებაში. მოხელეების დაუდევრობა იქამდის მიდის რომ საჭიროქალალდები და თხოვნები ერთ მაგიდიდან მეორე მაგიდამდე ვერ აღწევენ და იკარგებიან. ასე რომ, მცხოვრებლებს ერთ და იმავე თხოვნის შეტანის განმეორება რამდენჯერმე უხდებათ. პასუხი თუ მიიღეს ერთი თვის შემდეგ ისიც დიდია და შედეგიც რა თქმა უნდა უმეტეს შემთხვევაში უარია. ასე ამ რიგად ხალხისადმი მოქცევაში ნიკოლოზ II-ის მოხელეებს გადააჭარბეს და მათზე უარესად შეაძულეს ხალხს თავი. ერობას თავის ორი წლის მოღვაწეობაში. ისიც ვერ მოუხერხებია, რომ ერთად ერთი გზატკეცილი სად. საჯევახოდან—ჩოხატაურამდე შეეკეთებია. იყო შემთხვევა, როდესაც ერთი მინისტერთაგანი, რომელსაც სოფელში ასვლოსათვის ამ გზაზე უნდა გადმოვლა და მოუხდა ამ გზით მგზავრობა, ძრიელ შეწუხდა, და ამ გზით მას შემდეგ არ უმგზავრია, თუმცა რამდენჯერმე ბრძანდებოდა თავის სოფელში. როგორც ეტყობა დიდი ყურადღება არ მიუქცევია ბ. მინისტრს და ვალდებული არ გაუხდია ერობა, რომ ეს გზა მეტად დროულად შეუკეთებიათ. ამით რასაკვირველია ბ. მინისტრიც მოიგებდა ოადგან ეს გზა პირდაპირ მოკლედ მის სოფლამდე მიდის. მაგრამ ბ. მინისტრს მეორე მოგზაურობა ლრის უმჯობესად ჩაუთვლია ამ გზის გვერდის არება და „შორი გზით მოვლოთ შინ მშვიდობით, ჩასვლა.“ ეს ერთი მაგალითია; უმეტეს შემთხვევაში ყველა გზატკეცილებზე ესევე ითქმის, და პატარა სოფლის გზებზე ლაპარაკიც ზედმეტია; ისინი ნამდვილ გაუვალ კლდეღრეებს წარმოადგენენ.

სამკურნალო საქმე ვერ არის მოწყობილი ჩვენში ჯეროვნად, რადგანაც საექიმო და საბეითლო პერსონალის შემადგენლობა უმეტეს შემთხვევაში უცხოელები არიან (რუსებია) ისინი უდიერად ეპყრობიან ხალხს. ხალხს მათი არ გაეგება რა, და მით უკმაყოფილება ხალხში უფრო იზრდება.

განათლების საქმე: როგორც მოგეხსენებათ გურულები განათლებას ძლიერ ეტანებიან, და დიდს უნარსაც იჩენენ სწავლაში გურიის მკვირცხლი ყმაწვილები. სოფელი არ არის ისეთი რომ ორკლასიანი სკოლა არ იყოს და თემი რომელშიაც უმაღ. დაწყებ. ხოლო გადაჭრით უნდა ითქვას რომ ამ სკოლებში ათიდან ცხრა უნდა დაიკეტოს. ერობის მხრივ შენობის მოუწყობლობის და სამოსწავლო ნივთების უქონლობის და მეორეს მხრივ მასწავლებელთა შერჩევის გამო. მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში ვერ დგანან თავიანთ სიმაღლეზე, რადგანაც ამისთვის არ აქვთ შესაფერი ცოდნა, უმთავრესად გამოცდილება. მასწავლებლები ინიშნებიან ერობის მიერ ნაცნობების და ამხანაგობის მიხედვით; ამავე დროს უნდა ითქვას რომ არც უკანასკნელთა მდგომარეობა არი სანუგეშო ჯამაგირების თავის დროზე ვერ ღებულობენ. მაგ. ჩოხატაურის გიმნაზია, რომლის შენახვა თავზე იდვა ერობამ ა. წ. თებერვლიდან, ამ გიმნაზიის მასწავლებლებს არ მიუღიათ ივლისის და აგვისტოს დამატება და სექტემბრის ჯამაგირი და რა თქმა უნდა ასეთ გიმნაზიაში პატიოსანი მასწავლებელი ვერ მოიცდის. პედაგოგიურ საქმეებში ხშირად ერევა კოლექტივის წევრები რითაც ძლიერ აფერხებენ სწავლის ინტენსივობის მსვლელობის საქმეს. ეკლესიის საქმე უნუგეშოა. ხუთ-ექვს ეკლესიას ერთი მღვდელი ყავს.

გურულს რომ ჰკითხოთ რადარ დაიარები ეკლესიაში თქვა გიპასუხებთ კათოლიკე ვარო. სასულიერო წოდების პრესტიჟის დაცემას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ზოგიერთმა ღვდლებმა ხელი აიღეს ტრაპეზზე, გაიკრიჭნენ და გახდენ უჩვეულო დამცველნი კოლექტივისა და სოციალიზმისა. ბატონებო ბოლშევიზმი გურიაში არსებითად არ არის თუმცა მათი აგენტები სოფელ სოფელ დაძრწიან, ფულსაც უხვად არიგებენ მაგრამ მათ მომხრეებად არიან სოფლის უსაქმო ძმა-ბიჭები და თუ ვინმე დარბაისელი ითმენს ბოლშევიზმს ეს მხოლოდ იმიტომ რომ უნდა მას გაინთავისუფლოს თავი მენშევიკებს უტაკტო ბრძანებისაგან დასასრულ უნდა ითქვას რომ ჩვენი პარტიის მდგომარეობა მაინც და მაინც არ არის სანუგეშო, ვინაიდან არა გვაქვს მოწყობილი შესაფერისი ორგანიზაცია. ასე რომ მომავალ არჩევნებში ჩვენდა სასარგებლოდ დიდს არაფერს უნდა მოველოდეთ თუმც ხალხის სიმპატია ჩვენსკენ არის. ამით ვათავებ ჩემს მოხსენებას, ბატონებო, და იმედს გამოვსთქვამ რომ შესაფერისი ყურადღება ექნება გაწეული გურიის ხალხის გაჭირვებას და მოთხოვნილებას. ჩვენი პარტიის მიერ, და შევეცდებით მომავალში გაორკეცებული ენერგიით ჩვენი პარტიული მუშაობა ისე დავაყენოთ. როგორც ნაციონალისტურ პარტიის ინტერესებს მოეთხოვება და შეეფერება.

ღია წერილი

ბ. სვიმონ ყიფიანს

ბ. სვიმონ! საალდგომოდ, როცა მე ვასრულებდი გაზ. „საქართველოს“ ბდინის თანამდებობას, ჩემი თხოვნისამებრ თქვენ საალდგომო ნომრისთვის გადმომეცით პატარა ესკიზი, რომელიც სტამბაში კიდეც ავაწყობინე, მაგრამ მაშინ რედაქციის ნივთიერ მიზეზების გამო აწყობილი გაზეთი დაუბეჭდავი დარჩა ვიდრე სექტემბრამდის.

მე გაზ. „საქართველოში“ მუშაობას თავი ფაქტიურად აგვისტოდან დავანებე და თქვენი ესკიზი, ისე როგორც ყოველი სარედაქციო მასალა, რასაკვირველია რედაქციის განკარგულებაში დარჩა. ეს ესკიზი ვერ დაეკარგებოდა „საქართველოს“ რედაქციას, რადგან მაშინ მას უნდა დაჰკარგოდა მთლად აწყობილი საალდგომო ნომერი რაც თითქმის შეუძლებელია. რაც შეეხება მეორე მოთხრობას, იგი ბ. ლევ. ჯაფარიძის პორტფელში ინახებოდა. ყოველივე ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სამწუხაროდ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება არ შემიძლიან.

მიიღეთ თქვენი მწერლური სახელის პატივისცემა და სხ. **გიორგი ლეონიძე.**

27/X

ქ. თბილისი.

მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ

კანონპროექტი

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ დაამუშავა პროექტი კანონისა მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით.

თანახმად კანონ-პროექტისა თანამდებობრივ დანაშაულის საქმეები განხილული უნდა იქნეს სისალის სამართლის წარმოების წესდების საერთო წესისამებრ ქვემო ჩამოთვლილ გამონაკლისით:

1. თანამდებობრივი დანაშაული ექვემდებარება ოლქის სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. იმ ადგილებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოღებული არ არის, თანამდებობრივი დანაშაული განხილულ უნდა იქნეს ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად. 2. საზღვარ გარეთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სამსახურში მყოფნი პირნი რესპუბლიკის გარეშე ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულისათვის გასამართლებულ უნდა იქნენ თბილისის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. 3. გარდა დამფუძნებელ კრების, პარლამენტის ან მთავრობის წევრებისა, საერთო და სამომრიგებლო სასამართლო დაწესებულებათა მოსამართლეებისა, ნაფიც მსაჯულებისა, გამომძიებლებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პირთა, ყოველ მოხელის თანამდებობრივ დანაშაულის გამო სისხლის სამართლის დევნა უნდა აღძრას იმ ოლქის სასამართლოს პროკურორმა, რომელსაც საქმე ექვემდებარება. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი, სახელისუფლო დაწესებულებათა ცნობები და მოხსენებანი, ისეთ თანამდებობრივ დანაშაულის შესახებ, რომლისათვის სასჯელი სასამართლოს წესით უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე თვით მოხელეს მიერ თავის თანამდებობრივ დანაშაულის აღიარება უნდა გაეგზავნონ სათანადო ოლქის სასამართლოს პროკურორს, ან საპროკურორო ზედამხედველობის უახლოესს პირს, რომელმაც იგი უნდა გადასცეს სათანადო პროკურორს. დამფუძნებელ კრებისა, პარლამენტისა ან მთავრობის წევრის თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლება აღძრულ იქნეს მხოლოდ დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის დადგენილებით. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი და სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობათა პირთა ცნობები და მოხსენებანი, დამფუძნებელი კრების, პარლამენტის ან მთავრობის წევრის მიერ თანამდებობრივ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის პრეზიდიუმში. სისხლის სამართლის წესით დევნას სენატის თავჯდომარის, მის ამხანაგის, და სენატორების წინააღმდეგ აღძვრას საქართველოს სენატორების საერთო კრილობა მომრიგებელ მოსამართლეთა, ოლქის სასამართლოს წევრთა, მომრიგებელ მოსამართლეთა კრილობის თავჯდომარის და სხვათა წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის დევნას აღძრავს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულო. საპროკურორო ზედამხედველობის პირი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნას აღძრავს იუსტიციის მინისტრი თანამდებობრივ დანაშაულისათვის ყველა მოხელე, დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის წევრის გარდა, სისხლის სამართალში უნდა მიცემულ იქნეს სასამართლოს პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის მიერ. დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის წევრი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სამართალში უნდა მიეცეს დამფუძნებელი კრების ან პარლამენტის წევრის შესახებ პროკურორის დასკვნით უნდა წარედგინოს იუსტიციის მინისტრის საშუალებით დამფუძნებელ კრებას ან პარლამენტს. დადგენილება თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრისა, სასამართლოში მიცემისა ან ასეთ საქმის მოსპობისა, უნდა ეცნობოს ბრალდებულის უფროს, ან იმ დაწესებულებას, სადაც ის მსახურობს მასვე ეცნობება აგრეთვე სასამართლოს საბოლოო განაჩენი. მომქმედ კანონით დადგენილი წესი სადისციპლინო სასჯელთა დადებისა ძალაში დარჩეს. სარჩელი იმ ვნებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც თანამდებობრივ და-

ნაშაულით არის გამოწვეული ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის საერთო წესს. საჩივარი უნდა აღძრულ იქნეს ექვსის თვის განმავლობაში. კანონ-პროექტი დამყარებული იქნება მომქმედ კანონების იმ პუნქტებზე, რომლებიც უნდა შეიცვალოს ახალ კანონის შემოღებით. აღნიშნული კანონ-პროექტი შოიწონა იუსტიციის მინისტრმა და იგი განსახილველად მთავრობას გადასცა.

კორესპონდენცია

ქუთაისის ერუგის „კომერცია“.

როგორც მოგეხსენებათ, ბონების შეძენის სურვილი ჩვენს ერობებში მძლავრად მოქმედებს: ზოგი ივსებს კერძო ჯიბეს, ზოგი-კი ახმარს ერობის საქმეებს. ამისათვის წმინდა სპეკულიაციასაც არ ერიდებიან. მაგალითად 350 მანეთად ნაყიდ ფუთ ნიგვზის ხეს—ჰყიდიან 720 მანეთად ფუთს, რაზედაც იგებენ მეტს ვინემ ჩვეულებრივი სპეკულიანტები. მაგრამ რადგან საზოგადო ხასიათი აქვს ვითმენთ.

ერთხელ ერობამ განიზრახა შორს გამჭვრეტი კომერცია, განიზრახა ბუნების სიმდიდრის გამოყენება. წყალტუბოს აბანოს წართმევამ კარგი შემოსავალი მისცა, რადგან იქ ბუნების სიმდიდრის გარდა ათი მილიონის სახლებიც მიაყოლეს.

ქუთაისის ერობა დადგა ნამდვილ კომერციულ ნიადაგზე, ნამდვილ სოციალისტური მაშტაბით. საქმე იმაში არის, რომ განიზრახეს თოვლის შენახვა.

გამოიწვიეს ინჟენერი, ტეხნიკი, დაათვალიერეს საწყობში სარდაფები. ბევრი იბაასეს, სხდომები მოახდინეს, არბენიეს იქეთ და აქით ავტომობილები (ამ საქმიანობის დროს ერთი ავტომობილი კიდეც გატყდა). გადაწყვიტეს, რომ წაბლარას ხევში მუშაობიდან მოგებული ფული და აგრეთ გასწორებული ბალანსი უფრო გვიან იქმდება. „თოვლი დიდს მოგებას მოგვცემსო“ და იქირავეს მუშები, მოჭკრიბეს სარდაფებში ბლომად თოვლი, დაყარეს ნახერხი და სხვა. დალუქეს საწყობებიდან თოვლი არავინ წაიღოსო.

გამოგონია ანდაზად, რომ კიევში რუსის სპეციალისტები აშენებდენ უზარმაზარ ქიმიურ ლაბორატორიას უნივერსიტეტისათვის. როდესაც საქმე ჩაბარებაზედ მიდგა, გაახსენდათ, რომ ქიმიურ ლაბორატორიაში ვენტილიაცია დაავიწყდათ. ჩვენს ერობის „სპეციალისტებს“ სხვაფერ წაუვიდათ საქმე როდესაც დადგა ზამთარი და თოვლის მყიდველებიც გაჩნდენ, ერობის გამგეობას სიხარულით საზღვარს გადააჭარბეს. აიღეს ძალიან შესაფერისი % და გასცეს ორდერი თოვლის გაცემისა.

საწყობის გამგე, ტეხნიკური განყოფილება, გამგეობის წევრი ერთად მიბრძანდენ ახალი ეტლით, რომ გახსნან პლომბი. გახსნეს, შევიდენ შიგ, ხოლო იატაკზედ დახვდათ ნახერხი...

თოვლი გამდნარა, გამქრალა, რადგან ფანჯრები დარჩენილათ ღია.

თუ კიევში დააკლდათ ვენტილიაცია—აქ ქუთაისში ბევრი მოუვიდათ.

ასე „ჩააკომერციეს“ ქუთაისის ერობის მოხელეებმა.

ქუთათური.

ბოდბის მონასტერში

არა ალანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქვეშე ხვიმირისა, არამედ სასანთლესა ზედა და ჰნათობენ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა (მათეს თავი ე. იე—ივ.)—

მართლმადიდებელი საქართველო მონასტრების და განსაკუთრებით ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის დაარსებისთანავე მიეცა სხვა და სხვა ტანჯვას და წვალებასა ქრისტეს სარწმუნოებას მტრებისაგან: წარჩართნი, თათარნი, ყიზილბაშნი, ჩერქეზნი, ლეკი, ოსნი თითქმის განუწყვეტლად ქეჯნიდნენ მას თუ ხანდისხან რომლისამე ძლიერის მეფის ხელში საქართველოს მონასტერი განთავისუფლდებოდა დროებით ტანჯვისაგან, თითქო იმისთვის, რომ შესძლებოდა აეტანა მომავლის უფრო ძლიერი წვალებისა. ამგვარად იტანჯა იგი 15 საუკუნის განმავლობაში, მაგრამ დრონ იცვალნენ მე-19 საუკუნის დასაწყისს საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე მოსწყდა საქართველოს საკათოლიკოზო ეკლესიას თვის საყვარელი მამად—მთავარი და მის ბადლად რუსეთის უწმიდ. სინოდი ჩეკრია საქმეებში და იგი შეიქმნა ჩვენ ეკლესიის ბატონ—პატრონად. ამ დროიდან ბედის წერა საქართველოს ეკლესიისა შეკავშირდა რუსეთის ეკლესიის ბედის წერასთან, რამაც იგი ძალიან დაასუსტა და დასცა ძირს, როგორც მთელი საქართველოს ეკლესია ისე განსაკუთრებით ბოდბის წმ. ნინოს მონასტერიც.—მაგრამ წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა არ დასტოვა ბოდბის სავანე უპატრონოდ 1889 წელს—უმაღლესი ბრძანებით გამოგზავნილ იქმნა ქ. მოსკოვიდან წინამძღვრად იღუმენია იუვენალია ტომით რუსი ათი რუსის მონოზონით, რომელმაც ჩაუყარა საძირკველი დედათა მონასტერს და მის შემდეგ ერამდენიმე წინამძღვარი შრომობდა ზემო ხსენებულ დედათა მონასტერში მაგრამ უეჭველია მათ შორის უპირველესი ადგილი უჭირავს მონასტრის კეთილდღეობისათვის ზრუნვით ქველმოქმედებით დედა იღუმენია ნინოს, თუმცა სულ მცირე სამი წელია რაც განაგებს მონასტერს ისიც ასეთ სოციალურ აუჯანელ ხანაში, მაგრამ ნათლად სჩანს არ დაუბოკავს თვის ენერგია მონასტრის და სამშობლოს სიყვარულიდ აღჭურვილს შეუძლია მოკლე დროში აღმეჭდა თვის ნაკვალი გზისა.

პირველი ნაბიჯი თაეის დაუღალავი მოღვაწეობისა მან გადასდგა თეკლათის მონასტერში, რომელსაც რვა წელი განაგებდა და დაუღალავად ემსახურეოდა როგორც ზემო აღნიშნულ მონასტერს ისე მის გარშემორტყმულ ქართველ ხალხს. მან განაახლა და განამშვენიერა მონასტერი, ააგო პატარა სასწავლებელი და შეიყვარა სულით და გულით დასავლეთ საქართველოს ქართველი ერი, ყოველს წამს მათი კეთილდღეობისათვის ზრუნავდა რითიც კი შეეძლო მას დახმარება. უსურვებ დედა იღუმენის განმტკიცებას მრავალს ჟამს სიცოცხლეს ჩვენი ტანჯული და პატიჟ აყრილ მონასტრების საკეთილდღეოდ და ვიმედოვნებთ, რომ თუ ამ სამი წლის განმავლობაში დაამზნია კეალი თვის გზას ბოდბის მონასტერში დღეის შემდეგ უფრო გააღრმავებს თვის კვალს და არ შეუშინდება არავითარ მომენტს ცხოვრებისას გულ მხურვალე ჩაუდგება ზემოხსენებულ მონასტერს სათავეში და იხსნის მას რეგრესიულ გზიდან.

ბ—ი გობრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ ბლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების), დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა ასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №5

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ წვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ,

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან,—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს. 58 წ. დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს. 27 წ. დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს. 34 წ. ღამ.
ფოთში ჩადის		10 ს. 45 წ. დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს. 28 წ. საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს. 52 წ. საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს. 25 წ. დღ.
სალ-ოლლამდის		7 ს. 20 წ. დილ.
სანაინამდის	№ 4	8. დილ.
სანაინში ჩადის		5 ს. საღ.
კახეთისკენ		8 ს. 30 წ. დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს. 51 წ.
თფილისში მოდის		9 ს. 16 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს. 9 წ. დილ.
თფილისში მოდის		1 ს. 1 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 8	11 ს. 37 წ. ღამ.
თფილისში მოდის		7 ს. 36 წ. ღამ.
ბორჯომიდან	№ 20	12 ს. 22 წ. ღამ.
თფილისში მოდის		7. ს. 47 წ. დილ.
სალ-ოლლიდან		12 ს. 10 წ. დილ.
სანაინიდან	№ 4	7 ს. 30 წ. დილ.
თბილისში მოდ.		3 ს. 20 წ. დილ.
კახეთიდან		თბილისში მოდ. 8 ს. 20 წ. ს.

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.